საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვერძაძე ნური მუსტაფას ძე

ვერძაძე ნური მუსტაფას ძე (დ. 5. VI. 1939, ხელვაჩაური), ენათმეცნიერი. ფილოლ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (1996). საქართვ. პედ. მეცნიერებათა აკადემიის ნამდვ. წევრი (1996). 1966 დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი. 1991–96 მუშაობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. უნ-ტის ზოგადი ფილოლ. კათედრის გამგედ. 1996–2002 იყო ამავე უნ-ტის რექტორი, 2004–05 – მ. აბაშიძის სახ. სამეცნ.-კვლ. ცენტრის დირექტორი. ვ-ის სამეცნ. კვლევის ძირითადი მიმართულებაა ქართ.-უკრაინულ-რუს. ენების ურთიერთშეპირისპირების, თარგმანისა და ზოგადსაენათმეცნიერო თეორ. საკითხები. გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, მ. შ. მონოგრაფიები: „ლექსის ენა და თარგმანი” (1989); „ქართული სიტყვის მადლით” (1994); „ხმოვანება ეროვნული სულისა” (1999); „ჩანაწერები მომავლისათვის” (2001) და სხვ. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1997).